პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 15 (1185) | სამშაბათი, 4 თებერვალი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 30 კაპ.



## საკავშირო პირველობა კალათბურთში

სვერდლოვსკი. (ჩვენი სპეც. კორესპონდენტი). საკავშირო ჩემპიონატის სვერდლოვსკის ჯგუფის გათამაშების უკანასკნელ დღეს გაიმართა ორი მატჩი. თბილისის „დინამო" შეხვდა სვერდლოვსკის გუნდს. თბილისელთა რიგებში იყვნენ: ხაზარაძე, აბაშიძე, მინაშვილი, ინწკირველი, კილაძე. სვერდლოვსკის გუნდში გამოდიოდნენ: კანდელი, ბრეგმანი, ედელევი, კრაევი და ბარუშევი.

თამაში სწრაფ ტემპში დაიწყო. უპირატესობა თავიდანვე ცვალებადი იყო, წინ გასვლა ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა. პირველი ნახევრის უკანასკნელ წუთზე კრაევმა შორი მანძილიდან სროლით წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 40:38. თამაშის მეორე ნახევარშიც ინიციატივა სვერდლოვსკელებს ჰქონდათ. მატჩი დამთავრდა სვერდლოვსკელთა გამარჯვებით 76:72.

მოსკოვის „დინამოს" და ლენინგრადის „ბურევესტნიკის" თამაშის 40 წუთი დამთავრდა უშედეგოდ 78:78. დამატებით 5 წუთში დინამოელებმა სძლიეს მეტოქეებს — 87:86.

**მ. ამნიაშვილი**

* * *

**რიგა (ჩვენი სპეც. კორესპონდენტი).** რიგის ჯგუფის უკანასკნელი დღის შეხვედრების შედეგები ასეთია: მოსკოვის „ბურევესტნიკი" — თბილისის „ბურევესტნიკი" — 36.35. მოსკოვის „დინამო" — ტარტუს „კალევი"—58:55, რიგის „დაუგავა" — სვერდლოვსკი — 39:38.

* * *

**ალმა-ატა (ჩვენი სპეც. კორესპონდენტი).** მოგვყავს უკანასკნელი დღის ტექნიკური შედეგები: რიგის „სპარტაკი" — კაუნასის „ჟალგირისი" — 67:48, ცსკ-მო — თბილისის „ბურევესტნიკი" — 92:64, ალმა-ატის „ბურევესტნიკი"—მოსკოვის „სპარტაკი" — 66:60.

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე: მოსკოვისა და თბილისის „დინამოს" გუნდების მატჩი. შუაში თბილისელი ლ. ინწკირველი ნახტომით კალათში ტყორცნის ბურთს.**

ფოტო ნ. ვოლკოვისა.

## ნუ შევლახავთ მდიდარ ტრადიციას

ჭიდაობა ჩვენს რესპუბლიკაში რომ პოპულარული სპორტია, ეს დღეს ყველასათვის ცნობილია. ჩვენი ფალავნების დიდების სახელი გასცდა საქართველოს საზღვრებს. ყოველივე ეს ბუნებრივია. ბუნებრივია იმიტომ, რომ ჭიდაობას ჩვენში ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. იგი იყო ყველა დღეობის თუ სახალხო დღესასწაულის პროგრამის უპირველესი ნაწილი.

შემდეგ, როდესაც საქართველოში სხვა სახის ჭიდაობა იქნა შემოტანილი — მაშინ ფრანგული ან როგორც ახლა ვუწოდებთ კლასიკური — ქართველმა ფალავნებმა სწრაფად აითვისეს მისი ფანდები და თამამად გავიდნენ რუსეთისა და საზღვარგარეთის სარბიელებზე. საქართველოს გოლიათი სანდრო კანდელაკი, შესანიშნავი ტექნიკის მქონე, რუსეთსა და საქართველოში კარგად ცნობილი კოსტა მაისურაძე, მიშიკო მაჩაბელი და კიდევ მრავალი სხვა მაშინდელი ცირკების მშვენებას წარმოადგენდნენ და ხალხში უაღრესი პოპულარობით სარგებლობდნენ.

გავიდა დრო. ცირკის სარბიელები თავის ანტრეპრენიორებით და წინასწარ შედგენილი პროგრამებით წარსულს ჩაბარდა. კლასიკური ჭიდაობა ხალხის საკუთრებად გადაიქცა. საწარმოებში, სასწავლებლებში ჩამოყალიბდა სექციები გამოჩნდნენ ამ საქმის ენთუზიასტები, აღიზარდნენ ახალი, უფრო სრულყოფილი ოსტატები და როგორც ვხედავთ, დღეს საბჭოთა კავშირის გუნდი კლასიკურ ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია, ხოლო გუნდის ერთი წევრი სპორტის დამსახურებული ოსტატი გივი კარტოზია—მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი.

როგორ მდგომარეობაშია სპორტის ეს დიდი ტრადიციის მქონე სახეობა ჩვენს რესპუბლიკაში? ვერ ვიტყვით, რომ ცუდად. მასობრივობაც საკმარისია, ყოველწლიურად იზრდება ნიჭიერ მოჭიდავეთა რიგები, ნაყოფიერად მუშაობენ სექციები ბათუმში, სოხუმში, რუსთავში, განსაკუთრებით გამოირჩევიან ქუთაისელი მოჭიდავეები, რომლებმაც გასულ წელს საქართველოს პირველობაზე გუნდური პირველი ადგილიც დაიკავეს.

მაგრამ... რა მაგრამ? იკითხავს ჩვენი გაზეთის მკითხველი. თუ მასობრივობა არის, გვყავს მაღალკვალიფიციური მწვრთნელები, სპორტსმენები, რა გვაქვს საჯავრო? სამწუხაროდ საჯავრო არის. როდესაც საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის გუნდი მეოთხე ადგილზე გამოვიდა, ყველას გული დაწყდა, მეორე ან უკიდურეს შემთხვევაში, მესამე ადგილის ღირსნი ვიყავით, ვამბობდით ჩვენ. მაგრამ დახეთ, შარშან რა დღეში ჩავვარდით: გუნდმა ერთი ადგილით უკან გადინაცვლა — მე-5 ადგილი დაიკავა, სპარტაკიადის ჩემპიონი რ. ძნელაძე მე-9 ადგილზე გამოვიდა. სპარტაკიადაზე ჩვენი მოჭიდავეების მიერ ნაჩვენები ყველაზე ცუდი შედეგი მე-12 ადგილი იყო. გასულ წელს კი ზოგიერთმა სპორტსმენმა იმდენად „ერთგულად" იმუშავა, რომ მე-15, მე-17, მე-20 ადგილებზე გამოსვლაც კი შეძლეს.

მწვრთნელი (რომელიც გუნდს თან ახლდა) პ. იორდანიშვილი ამ ამბავს სხვადასხვა საბედისწერო შემთხვევით ხსნის. მაგრამ ფაქტი ჯიუტია. გუნდი არ იყო კარგად დაკომპლექტებული. ავადმყოფობის გამო არ მონაწილეობდა სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. კარტოზია, ამას გარდა მოსკოვი, ლენინგრადი და უკრაინა შეჯიბრებაზე წარმოდგენილი იყვნენ 2-2 გუნდით. ეს რასაკვირველია, მნიშვნელოვნად ართულებდა ბრძოლის ფორმულას. ამის მიუხედავად, ჩვენ უფლება არა გვაქვს ასეთი სამარცხვინო ადგილები დავიკავოთ.

რაც მთავარია, გუნდებში არ იყო სათანადო სიმაღლეზე პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა. გუნდის ერთადერთი ხელმძღვანელი პ. იორდანიშვილი ვერ გაწვდა ყველაფერს და მეტად სამწუხარო შედეგი მივიღეთ, საბჭოთა სპორტსმენისთვის შეუფერებელი საქციელისათვის ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა სპორტის ოსტატის სახელი მოუხსნა და ნაკრები გუნდის შემადგენლობიდან გამოიყვანა ორი წამყვანი მოჭიდავე ქორიძე და გვანცელაძე.

კლასიკურ ჭიდაობას, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, რესპუბლიკაში ისეთი კარგი ტრადიცია აქვს, რომ ასეთ მდგომარეობას ვერ შევურიგდებით. კლასიკური ჭიდაობის რესპუბლიკურმა სექციამ პირველ რიგში უნდა იზრუნოს სპორტსმენთა სრულწლიურ წვრთნაზე. როგორც კი გამოგვრჩება მხედველობიდან ჩვენი მუშაობის ეს მთავარი უბანი, იმ წამსვე ზემოთ მოთხრობილ მდგომარეობას წავაწყდებით, ამის ფაქტის მოყვანაც შეგვიძლია: როდესაც რესპუბლიკის გუნდი საკავშირო შეჯიბრებისათვის ემზადებოდა, გამოირკვა, რომ გ. კარტოზია გათამაშებაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. ქუთაისიდან გამოძახებულ იქნა საშუალო წონის მოჭიდავე, რომელიც თბილისში სრულიად მოუმზადებელი ჩამოვიდა. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ სრულწლიური წვრთნა რაიონებში (ნაწილობრივ თბილისშიც) პატივისცემით არ სარგებლობს.

ამ ბოლო ხანებში თბილისის ჭიდაობის სექციებს თითქოს ოდნავ გამოუსწორდა მდგომარეობა ბაზის მხრივ. მაგრამ, საბედნიეროდ ჭიდაობის შესწავლის მსურველი იმდენად დიდია, რომ უნდა დაისვას საკითხი ძალოსნობის სასახლის ასაშენებლად. საქართველოს ძალოსნებმა საბჭოთა სპორტის განვითარებაში იმდენი წვლილი შეიტანეს, რომ ისინი ღირსნი არიან ჰქონდეთ კეთილმოწყობილი, უკანასკნელი ტექნიკით აღჭურვილი დიდი ბაზა.

მომავალ წელს მოეწყობა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა. ამ დიდი ღონისძიებისათვის აქედანვე გაშლილია მუშაობა. მთლიანად სპორტის ოსტატებით დაკომპლექტებული გუნდით უნდა წარსდგეს ჩვენი რესპუბლიკა ამ დიდ სარბიელზე და კვლავაც მოიპოვოს საპატიო ადგილი. ეს ჩვენი დიდი ამოცანაა, რომლის განხორციელებაში კლასიკური ჭიდაობის ენთუზიასტებმა თავისი წვლილი უნდა შეიტანონ.

## ბრატისლავის საციგურაოზე

12 ათასი მაყურებლის თანდასწრებით ბრატისლავის (ჩეხოსლოვაკია) დახურულ საციგურაოზე გაიხსნა ევროპის ჩემპიონატი ციგურებით ფიგურულ სრიალში, რომელშიც მონაწილეობენ ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის, სსრ კავშირის, პოლონეთის, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის, ავსტრიის, უნგრეთის, ინგლისის, იტალიის, შვეიცარიისა და ჰოლანდიის სპორტსმენები. ჩემპიონატის პროგრამაშია ფიგურული სრიალი და ცეკვა ყინულზე.

პირველ დღეს გათამაშებულ იქნა წყვილთა სრიალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 15-მა წყვილმა მოციგურავემ. ევროპის ჩემპიონობა წილად ხვდათ ჩეხ სპორტსმენებს ვ. სუხანკოვასა და ზ. დოლეჟალს (79,5 ქულა).

დიდ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა მოციგურეებმა ნინა ჟუკმა და სტანისლავ ჟუკმა, რომლებმაც მიიღეს 74,1 ქულა და მოიპოვეს ვერცხლის მედლები. მესამე ადგილზე გამოვიდნენ ინგლისელები დ. კოუტსი და ა. ჰოლსი (73,5 ქულა).

ჩემპიონატის მეორე დღეს გათამაშებულ იქნა პირველობა ვაჟთა შორის. ოქროს მედალი მოიპოვა კ. დივინმა (ჩეხოსლოვაკია), რომელსაც აქვს 1.258 ქულა.





ალმა-ატაში მიმდინარეობდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ყაზახეთის საბჭოთა რესპუბლიკის მოციგურეთა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება.

**სურათზე:** ზევით — რუმინეთის რეკორდსმენს სარკა ტეტუსუს, რომელსაც აპარატი გაუფუჭდა, ეხმარება კინოოპერატორი ვიქტორ ვასილჩენკო. ქვევით, მეტოქეები— ჩინელი ლუ ჩენ-იუი და ყაზახეთის სპორტსმენი ტატიანა შონგინა გარბენის შემდეგ.

ფოტო ვ. პოზდნენკოსი.

## ო. გონჩარენკო—კონტინენტის ჩემპიონი

ესკილსტუნი (შვეცია) აქ დამთავრდა ევროპის პირველობა ციგურებით ჩქაროსნულ რბენაში ვაჟთა შორის. შეჯიბრებას დაესწრო მეტად არახელსაყრელი ამინდი — უჩვეულო სითბოს გამო ყინული მალე ლხვებოდა და სპორტსმენებს უჭირდათ სრული სისწრაფით რბენა. ტიუნევალენის სტადიონზე, სადაც მიმდინარეობდა შეჯიბრება, ალაგ-ალაგ ბალახიც კი ჩანდა თოვლის თხელი საფარველიდან.

ჩემპიონატი დაიწყო რბენით 500 მეტრზე. საუკეთესო შედეგი ჰქონდა საბჭოთა სპორტსმენს ბ. შილკოვს — 44,5. მეორე ადგილი დაიკავა გ. სტრემმა (შვეცია), მესამე — რ. მერკულოვმა (სსრ კავშირი).

რბენა 5000 მეტრზე მოიგო გასული წლის მსოფლიო ჩემპიონმა კ. იუჰანსენმა (ნორვეგია), რომელმაც დისტანცია გაირბინა 8 წუთსა და 32,4 წამში.

1.500 მეტრზე რბენაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის გუნდის წევრმა ო. გონჩარენკომ, რომლის შედეგია 2.18,19.

მეორე სტაიერული დისტანცია— 10.000 მეტრი. კვლავ მოიგო კ. იუჰანსენმა.

მრავალჭიდის ჯამში პირველი ადგილი და კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ო. გონჩარენკომ. მომდევნო ადგილებზე არიან ბ. შილკოვი და კ. იუჰანსენი.

# რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებათა 1958 წლის კალენდარული გეგმა

## ფეხბურთი

1. რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა. ადგილებზე. თებერვალი-დეკემბერი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

2. საქართველოს სსრ პირველობა 3 ჯგუფში. კალენდარის მიხედვით. აპრილი-ნოემბერი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივების, სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები. (მონაწილეთა რაოდენობა 1.800, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

3. მონაწილეობა სსრ კავშირის პირველობაში „ა“ და „ბ“ კლასების გუნდებს შორის. კალენდრის მიხედვით. მარტი-ნოემბერი. მონაწილეობენ „ა“ და „ბ“ კლასების გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

4. მონაწილეობა სსრ კავშირის თასის გათამაშებაში ოსტატთა გუნდებისათვის. კალენდრის მიხედვით. მაისი-ნოემბერი. მონაწილეობენ „ა“ და „ბ“ კლასების გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

5. სსრ კავშირის თასის გათამაშება ფიზიკური კულტურის კოლექტივებისათვის:

ა) რაიონებში, ქალაქებში, ავტონომიურ ოლქსა და ასს რესპუბლიკებში. კალენდრის მიხედვით. აპრილი-სექტემბერი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივების გუნდები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

ბ) ფინალური შეჯიბრება. კალენდრის მიხედვით. სექტემბერი-ოქტომბერი. მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკათა, მოსკოვისა და ლენინგრადის თასებში გამარჯვებულნი.

6. მონაწილეობა საკავშირო შეჯიბრებაში ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლების გუნდებს შორის. ოდესა. 1-20 ივლისი. მონაწილეობს ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 18, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

7. მონაწილეობა საკავშირო შეჯიბრებაში „ა“ და „ბ“ კლასების კოლექტივებთან არსებულ მოზარდთა გუნდებს შორის:

ა) ზონალური შეჯიბრებანი. გეგმის მიხედვით. 1-10 ივლისი.

ბ) ნახევარფინალური შეჯიბრებანი. გეგმის მიხედვით. 13-20 ივლისი. მონაწილეობენ ზონებში გამარჯვებული გუნდები.

გ) ფინალი. მოსკოვი. 24 ივლისი — 4 აგვისტო. მონაწილეობენ ნახევარფინალებში გამარჯვებულნი (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

8. საქართველოს თასი. ადგილებზე. ფინალი — მოსკოვში. აგვისტო. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივების, სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

9. ახალგაზრდა ფეხბურთელთა რესპუბლიკური თასი:

ა) ზონალური შეჯიბრება. ადგილებზე. ოქტომბერი.

ბ) ფინალი. თბილისი. ნოემბერი. მონაწილეობენ ზონებში გამარჯვებულნი (მონაწილეთა რაოდენობა 150, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

10. კონსტიტუციის სახელობის თასი. ადგილებზე. ფინალი—თბილისში. ნოემბერი-დეკემბერი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივების, სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

## ჭადრაკი

1. რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა (I ტური). ადგილებზე. 5 იანვარი — 4 თებერვალი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

2. მონაწილეობა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო გუნდურ შეჯიბრებაში. ტირასპოლი. 1-19 მარტი. მონაწილეობს „კოლმეურნის“ ნაკრები გუნდი (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

3. საქართველოს სსრ პირველობის ნახევარფინალები. სტალინირი, ფოთი. 8 თებერვალი — 1 მარტი. მონაწილეობენ რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობებში გამარჯვებულნი (მონაწილეთა რაოდენობა 14, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

4. მოზარდთა რესპუბლიკური პირადი შეჯიბრება. ბათუმი. 29 მარტი — 3 აპრილი. მონაწილეობენ სარაიონო და საქალაქო შეჯიბრებებში გამარჯვებულნი (მონაწილეთა რაოდენობა 108, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

5. საქართველოს სსრ პირველობა ქალთა შორის. თბილისი, 5 აპრილი — 2 მაისი. მონაწილეობენ უძლიერესნი (მონაწილეთა რაოდენობა 16, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

6. საქართველოს სსრ პირველობა ვაჟთა შორის. თბილისი. 9 მაისი—6 ივნისი. მონაწილეობენ უძლიერესნი (მონაწილეთა რაოდენობა 18, ღონსძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

7. მოზარდთა რესპუბლიკური ფინალური შეჯიბრება. ბორჯომი. 29 ივნისი — 15 ივლისი. მონაწილეობენ ნახევარფინალებში გამარჯვებულნი (მონაწილეთა რაოდენობა 26, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

8. მონაწილეობა სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში. ვილნიუსი. 1-15 ივლისი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 11, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

9. მონაწილეობა მოზარდთა საკავშირო გუნდურ შეჯიბრებაში. ლენინგრადი. 3-17 აგვისტო. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 14, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

10. მონაწილეობა სსრ კავშირის პირადი პირველობის ნახევარფინალებში ქალთა შორის. ნოვოსიბირსკი, კიშინიოვი, ბათუმი. 5-30 სექტემბერი. მონაწილეობენ რესპუბლიკურ პირველობაში გამარჯვებულნი (მონაწილეთა რაოდენობა 4, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

11. მონაწილეობა სსრ კავშირის XXVI პირადი პირველობის ნახევარფინალებში. ტაშკენტი, როსტოვი, ბაქო. 5 სექტემბერი — 5 ოქტომბერი. მონაწილეობენ რესპუბლიკურ პირველობაში გამარჯვებულნი (მონაწილეთა რაოდენობა 4, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

12. რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა (II ტური). 5-30 ოქტომბერი. ადგილებზე. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები (ღონისძიებას ატარებენ ფიზიკური კულტურის შესაბამისი კომიტეტები).

13. მონაწილეობა სსრ კავშირის პირადი პირველობის ფინალში ქალთა შორის. ხარკოვი. 20 ნოემბერი — 26 დეკემბერი. მონაწილეობენ ნახევარფინალებში გამარჯვებულნი (მონაწილეთა რაოდენობა 2, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

## სასტენდო სროლა

1. მონაწილეობა შესარჩევ შეჯიბრებაში მსოფლიო პირველობისათვის. სოხუმი. 17-25 იანვარი. მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის უძლიერესი მსროლელები.

2. რესპუბლიკური ახალგაზრდული შეჯიბრება. თბილისი. 2-6 მარტი. მონაწილეობენ ავტონომიურ რესპუბლიკათა, სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა უძლიერესი მსროლელები (მონაწილეთა რაოდენობა 24. ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

3. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში. მოსკოვი. 14-23 ივნისი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები. (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

4. მონაწილეობა საკავშირო ახალგაზრდულ შეჯიბრებაში. ლენინგრადი. 10-17 აპრილი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა უძლიერესი მსროლელები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

5. მონაწილეობა უძლიერეს მსროლელთა საკავშირო შეჯიბრებაში. ლვოვი. 24-31 მარტი. მონაწილეობა სიის მიხედვით (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

6. საქართველოს სსრ პირველობა. თბილისი. 4-10 აგვისტო. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 60, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

7. სამატჩო შეხვედრა უკრაინა-აზერბაიჯანი-ლიტვა-საქართველო. თბილისი. 11-13 აგვისტო. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი. (მონაწილეთა რაოდენობა 28, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

8. სამატჩო შეხვედრა ლიტვა-საქართველო. ვილნიუსი. 4-7 სექტემბერი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 7, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

## ტყვიით სროლა

1. მონაწილეობა შესარჩევ შეჯიბრებაში მსოფლიო პირველობისათვის. მოსკოვი. 18-26 იანვარი. მონაწილეობენ უძლიერესი მსროლელები.

2. სსრ კავშირის უძლიერეს მსროლელთა შეჯიბრება. ლვოვი. 22-31 მარტი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა უძლიერესი მსროლელები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

3. სამატჩო შეხვედრა სოხუმი-ბათუმი-ქუთაისი-ფოთი-რუსთავი. სოხუმი. 4-11 აპრილი. მონაწილეობენ ქალაქების ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 50, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

4. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში. მოსკოვი. 18-30 ივნისი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

5. რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა. ადგილებზე. 30 აგვისტო — 14 სექტემბერი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

6. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. ბათუმი. 20-29 სექტემბერი. მონაწილეობენ რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 186, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

7. საქართველოს სსრ გუნდური პირველობა. თბილისი. 15-24 ნოემბერი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 130, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

## ჩოგბურთი

1. ზამთრის საქალაქთაშორისო გუნდური შეჯიბრება მოზარდთა შორის:

I ეტაპი. ლენინგრადი, ტალინი, ლვოვი, თბილისი, რიგა. 3-9 იანვარი. მონაწილეობენ ქალაქების ნაკრები გუნდები.

II ეტაპი (ფინალი). მოსკოვი. 22-28 მარტი. მონაწილეობს I ეტაპში გამარჯვებული 5 გუნდი (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

2. მონაწილეობა საკავშირო შეჯიბრებაში დახურულ მოედნებზე:

ა) გუნდური შეჯიბრება. მოსკოვი. 13-16 თებერვალი.

ბ) პირადი შეჯიბრება. მოსკოვი. 17-24 თებერვალი. შეჯიბრებაში მონაწილეობენ უძლიერესი ჩოგბურთელები და გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

3. რესპუბლიკური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა მონაწილეობით. თბილისი. 19-29 აპრილი. მონაწილეობენ უძლიერესი ჩოგბურთელები (მონაწილეთა რაოდენობა 24, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

4. ქალაქებისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა. ადგილებზე. 1-13 ივლისი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

5. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. ბათუმი. 26 ივლისი — 4 აგვისტო. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 70, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

6. მონაწილეობა სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში. თბილისი. 30 სექტემბერი — 6 ოქტომბერი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 13, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

7. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად პირველობაში:

ა) ზონალური შეჯიბრება. ზონებში. 15 ივლისამდე. მონაწილეობა სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა განაცხადების მიხედვით.

ბ) ფინალური შეჯიბრება. კიევი. 7-15 სექტემბერი. მონაწილეობენ ზონებში გამარჯვებულნი (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

## მაგიდის ჩოგბურთი

1. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად პირველობაში:

ა) ნახევარფინალი. სტალინაბადი, კიშინიოვი, რიგა, ლენინგრადი. 19-28 იანვარი. ბაქო. 23-27 იანვარი. მონაწილეობენ უძლიერესი მოთამაშეები სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა განაცხადებას მიხედვით.

ბ) ფინალი. მოსკოვი. 28 იანვარი — 1 თებერვალი. მონაწილეობენ ნახევარფინალებში გამარჯვებულნი (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

2. მონაწილეობა უძლიერეს ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირში. კალუგა. 26-31 მარტი. მონაწილეობენ უძლიერესი მოთამაშეები სპორტსაზოგადოებათა განაცხადების მიხედვით (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

3. მონაწილეობა სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში. სტალინგრადი. 22-27 ოქტომბერი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

4. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. თბილისი. 15-22 ნოემბერი. მონაწილეობენ რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 80, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

## ტურიზმი

1. ზამთრის საქალაქთაშორისო სათხილამურო გადასვლა (320 კმ.). ლებარდე-სტალინირი. 1-25 თებერვალი. (მონაწილეთა რაოდენობა 12, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

2. ტურისტთა რესპუბლიკური შეკრება. მცხეთა. 29-31 მაისი (მონაწილეთა რაოდენობა 90, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

3. საკლასიფიკაციო გადასვლა ბაიდარებით (III კატეგორიის სიძნელისა). ბაიკალის ტბა — მდინარე ანგარა. 15 ივლისი —24 აგვისტო (მონაწილეთა რაოდენობა 14, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

## სიმძიმეების აწევა

1. საკონკურსო შეჯიბრებანი ქალაქებში. ადგილებზე. 18-20 იანვარი. მონაწილეობს ყველა მსურველი (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

2. მონაწილეობა საგაზაფხულო საკონკურსო შეჯიბრებაში. როსტოვი. 20-24 თებერვალი. მონაწილეობენ საქალაქო საკონკურსო შეჯიბრებებში გამარჯვებულნი (მონაწილეთა რაოდენობა 8, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

3. რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა. ადგილებზე. 22-28 თებერვალი მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

4. საქართველოს სსრ პირადი პირველობა. თელავი. 8-11 მარტი. მონაწილეობა სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა განაცხადების მიხედვით. (მონაწილეთა რაოდენობა 40, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

5. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად პირველობაში. სტალინო. 11-16 მაისი. მონაწილეობა სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა განაცხადების მიხედვით (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

6. სამატჩო შეხვედრა სოხუმი-ბათუმი-ქუთაისი-ფოთი-რუსთავი-ახალციხე. რუსთავი. 19-22 ივლისი. მონაწილეობენ ქალაქების ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 48, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

7. სამატჩო შეხვედრა სტალინირი-გორი-ზესტაფონი-ადიგენი-თელავი-მახარაძე - ამბროლაური. მახარაძე. 26-29 ივლისი. მონაწილეობენ ქალაქების ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 56, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

8. საქართველოს სსრ გუნდური პირველობა. თბილისი. 2-6 ოქტომბერი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 64, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

9. მონაწილეობა სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში. გორკი. 13-18 დეკემბერი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

## ფარიკაობა

1. მონაწილეობა მსოფლიო პირველობისათვის შესარჩევ შეჯიბრებათა ფინალში ახალგაზრდა მოფარიკავეთათვის (17-18 წელი). ხარკოვი. 31 იანვარი—3 თებერვალი. მონაწილეობა პერსონალური სიის მიხედვით (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

2. მონაწილეობა უძლიერეს მოფარიკავეთა შეხვედრაში. მოსკოვი. 25-28 თებერვალი. მონაწილეობენ უძლიერესნი სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა სიის მიხედვით (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

3. მონაწილეობა მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებაში. ხარკოვი. 22-27 მარტი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

4. რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა პირველობა. ადგილებზე. 4-18 მაისი. მონაწილეობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

5. საქართველოს სსრ გუნდური პირველობა ხიშტით ბრძოლაში (I ტური). გორი. 24-27 მაისი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 32, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

6. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. სოხუმი. 1-8 ივნისი. მონაწილეობენ რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 110, ღონისძიებას ატა-

(დასასრული მე-3 გვ.)

---

დასაწყისი. იხ. „ლელო“ № 13, 14.




ჩემპიონატზე კორესპონდენტებისათვის არსებობს პრეს-ცენტრი, სადაც მორიგეობით გროსმაისტერებს ს. ფლორს, ა. ლილიენტალს, ლიტველ ოლაფ ვ. მიკენასს, მოსკოველ ბ. ბარანოვს, თბილისელ ა. ბუსლაევს და სხვებს, რომლებიც ყოველთვის გაცხარებით არჩევენ ტურის პარტიებს. ისინი გამოიმუშავებენ ხოლმე ერთიან აზრს და ფოიეში მაყურებლებისათვის კვალიფიციური კომენტარებით ათავსებენ პარტიების ანალიზს. მაგრამ XII ტურის დროს მათ ძალზე გაუჭირდათ პეტროსიან-ფურმანის პარტიის დასაწყისის სწორი შეფასება, რადგან იგი ძველინდურ დაცვასა და კოლეს დებიუტსაც ჰგავდა. როდესაც გაირკვა პოზიცია, მაშინ ნათელი გახდა. რომ პეტროსიანმა ამ დებიუტების შეერთებით ახალი დაწყება შექმნა და პოზიციური უპირატესობა მიიღო. პარტია ამ დღეს არ დამთავრებულა. იგი გადაიდო პეტროსიანისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

ძალზე რთული ბრძოლა გაჩაღდა კორჩნოი-გელერის პარტიაში. კრიტიკულ მომენტში გელერმა ვერ მონახა ყაიმის გზები და ცაიტნოტში გადააცილა საკონტროლო დროს. ამით გელერმა ტურნირში პირველი დამარცხება განიცადა. ახლა ჩემპიონატში წაგება არ აქვს მხოლოდ ტ-

პეტროსიანს. გიპსლისმა სუეტინს შუა თამაშში ეტლსა და კუში ლაზიერი მოუგო. თითქოს პარტიის ბედიც მის სასარგებლოდ იყო გადაწყვეტილი, მაგრამ ცაიტნოტში გიპსლისმა დაუკვირვებლად ითამაშა და მისი მეფე საშამათო მახეში გაება.

ბოლესლავსკიმ ტოლუშთან ხელთ იგდო ინიციატივა და ენერგიული შეტევით 43-ე სვლაზე გაიმარჯვა. ყაიმით დამთავრდა ავერბახ-სპასკის პარტია. ასეთივე შედეგი იყო ფიქსირებული გურგენიძე-კროგიუსის პარტიაში, რომელიც თავიდანვე ძალზე მშვიდად ვითარდებოდა. კოტოვისათვის უარეს პოზიციაში შეწყვეტილ იქნა მისი პარტია პოლუგაევსკისთან.

ტურის დამთავრებისას ფურმანი და გურგენიძე, აგრეთვე სპასკი და ბოლესლავსკი ყაიმზე შეთანხმდნენ.

2 თებერვალს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. თამაშის განუახლებლად ფურმანი დანებდა პეტროსიანსა და სუეტინს. ორი დამარცხება განიცადა კოტოვმა, რომელსაც მოუგეს ტაიმანოვმა და პოლუგაევსკიმ. ავერბახი შეეცადა მოგებაზე თამაშს გიპსლისთან, მაგრამ ამაოდ. 53-ე სვლაზე ავერბახი შეურიგდა ყაიმს. ასეთივე შედეგით დაკმაყოფილდნენ კორჩნოი და პოლუგაევსკი.

ამ დღეს შედგა აგრეთვე VII ტურიდან გამოტოვებული კროგიუს-ტოლუშის პარტია. გროსმაისტერმა ისევ სუსტად ითამაშა და მეცხრე პარტია წააგო.

ამრიგად, XII ტურის შემდეგ ლიდერობს ბ. სპასკი, რომელსაც 8 ქულა აქვს, შემდეგ არიან ტ. პეტროსიანი — 7,5 ქულა, ი. ავერბახი და ი. ბოლესლავსკი — 7 ქულა თვითეულს, ე. გელერი — 6,5 და ერთი გადადებული პარტია, დ. ბრონშტეინი — 6,5 ქულა, მ. ტაიმანოვი — 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ბ. გურგენიძე და ლ. პოლუგაევსკი 6 ქულა თვითეულს და ა. შ.

**ე. გელერი—ბ. გურგენიძე**

**სიცილიური დაცვა**

**1. e4 c5 2. მf3 მc6 3. d4 cd 4. მ:d4 გ6**

**თამაშის ეს სისტემა ნაკლებადაა შესწავლილი. ჩვეულებრივ აქ თამაშობენ 4. ... მf6 და არ უშვებენ 5. c4-ს.**

**5. c4 მf6 6. მc3 მ:d4 7. ლ:d4 d6 8. კe2 კg7 9. კe3 0—0 10. ლd2 (და არა 10 0—0, 10. ... მg4 11. ... მ: e3 და თეთრებს აღარ ექნებათ ძლიერი შავუჯრედოვანი კუ) 10. ... მg4 11. კ:g4 12. 0—0 ეc8 13. b3 b5?!**

**გურგენიძემ გადაწყვიტა თამაშის გართულება და ამიტომ გაბედულად მიდის რისკიან გაგრძელებაზე. გელერი თითქმის იძულებულია შეწიროს ხარისხი, რათა დაეუფლოს ინიციატივას. შემდგომი თამაში ძალზე რთულია.**

**14. მ:b5 კ:a1 15. ე:a1 a6 16. მd4 f6 17. h3 კd7 18. ეd1 ლc7 19. მc2 კc6 20. მg3 ლb7 21. f3 ეf7 (გურგენიძე შეუდგა მეფის ფრთაზე იერიშის მომზადებას. მას სწრაფად გამოჰყავს აქეთ ძალები). 22. კd4 h5 23. h4 მფh7 24. ეc1 ეg8 25. კc3 ლa7+ 26. მფh2 g5 27. მ:h5 gh 28. კd4 ლb8 29. ლf4 ეg5 30. ლ:h4 მფg8 31. g4 ეh7 32. f4 (რასაკვირველია, არ შეიძლება 32. კ:f6 ეh:h5 33. gh ef გამო) 32. ... ეa5 33. ეc2 კe8 34. მფg1 კ:h5 35. gh (ალბათ აქ უკეთესი იყო 35. . . . ეg7+. ახლა გელერი ნახულობს ყაიმის გზას) 35. . . . ეa h5 36. ეg2+ მფf7 37. ლg4 ლh3**



a b c d e f g h

**38. კ:f6! (ამან უშველა გელერს. ყველა სხვა სვლა აგებდა) 38. ... ef (ერთადერთია. თუ 38. ... მფ:f6 39. ლg6X. თუ 38. ... ლ:f6 36. ლg8X) 39. ლd7+ მფf8 40. ლd8+ ყაიმი.**

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: გროსმაისტერი ა. კოტოვი თვალს ადევნებს ჩემპიონატის ლიდერის, გროსმაისტერ ბ. სპასკის პარტიას.

ფოტო ი. გრომოვისა.

ჩვენ გვწერენ

## მოგვეცით აკადემიური ნავები

აფხაზეთში, კერძოდ სოხუმში, კარგი ტრადიცია აქვს ნიჩბოსნობას. აქაურმა სპორტსმენებმა არაერთხელ მოიპოვეს უძლიერესის სახელი შავი ზღვის აუზის ნავსადგურების სპორტსმენთა შეჯიბრებაზე.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ აქ ამ სახეობის განვითარების ყოველგვარი პირობები არსებობს, მუშაობა ამ დარგში მაინც არ სწარმოებს. ძირითად ხელისშემშლელ პირობას წარმოადგენს ინვენტარის უქონლობა. დახმარებისათვის არაერთხელ მივმართეთ საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელს საწყლოსნო სპორტის სახეობებში ნ. მუსატიკოვსა და საიალქნო-სანიჩბოსნო სექციის თავმჯდომარეს კ. რევიას, გამოეყო ჩვენთვის თუნდაც რამდენიმე ნავი აკადემიური ნიჩბოსნობისათვის, მაგრამ შედეგი დღემდე არ ჩანს.

იმ შემთხვევაში თუ სოხუმელ სპორტსმენებს მოგვამარაგებენ აღნიშნული ინვენტარით, პირობას ვდებთ, მოკლე ხანში მოვამზადოთ გუნდი.

**კ. კრივონოსოვი,**

**საიალქნო-სანიჩბოსნო სექციის თავმჯდომარე.**

## თოვლიან ბილიკებზე

ხუთ დღეს გრძელდებოდა მესტიის რაიონის პირად-გუნდური პირველობა ათხილამურო სპორტში. შეჯიბრება მიზნად ისახავდა უძლიერეს სპორტსმენთა გამოვლინებას რაიონულ ნაკრებისათვის, რომელიც მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის 1958 წლის პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ძირეული კოლექტივებისა და „კოლმეურნის“ გუნდები.

ვაჟთა შეჯიბრებაში 15 და 30 კილომეტრზე რბენაში გამარჯვებული გამოვიდა ა. შუკვანი. სლალომსა და სწრაფ დაშვებაში ყველას აჯობა ვ. ჯაფარიძემ. ამანათრბენი 4X10-ზე დამთავრდა „კოლმეურნის“ გუნდის გამარჯვებით. ტრამპლინიდან ხტომაში რაიონის ჩემპიონობა მოიპოვა მესტიელმა მოსწავლემ ზ. გიგანმა.

ლენჯერის საშუალო სკოლის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა ქალთა ამანათრბენი 4X5-ზე. 5 კილომეტრზე რბენაში ფინიშთან პირველი მივიდა ნ. მუშკუდიანი, სამაგიეროდ, 10-კილომეტრიანი დისტანცია მოიგო ლ. ჯაფარიძემ. იგი პირველი იყო სწრაფდაშვებასა და სლალომშიც.

**ვ. ნაკანი,**

**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი,**

## გადაიხურება „დინამოს“ სტადიონი



უკანასკნელ ხანებში მოსკოვის „დინამოს“ სტადიონის ჩრდილო ტრიბუნების ქვეშ მოთავსებულ ოთახებს მრავალრიცხოვანი მნახველი ესტუმრა. ისინი აქ შეჯიბრებებმა კი არ მოიზიდა, არამედ მოვიდნენ პროექტების სანახავად, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საუკეთესო არქიტექტორებმა შეადგინეს სსრ კავშირის „სახმშენისა“ და მოსკოვის ალმასკომის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. მოწონებული პროექტის მიხედვით მოკლე ხანში დაიწყება „დინამოს“ სტადიონის გადახურვა, რის შემდეგ აქ მატჩების ჩატარება შესაძლებელი იქნება ზამთარშიც.

პროექტების გამოფენაზე წარმოდგენილია არა ერთი ნახაზი და მაკეტი, რომელთა ავტორები სხვადასხვანაირად იძლევიან ამ საკითხის გადაწყვეტას.

ყურადღებას იმსახურებს მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის პროექტი „წრე“, რომელიც ითვალისწინებს სტადიონის იმგვარად გაფართოებას, რომ მისი დიამეტრი გაიზრდება 270 მეტრამდე, რაც სტადიონზე მაყურებელთა რიცხვს გაზრდის 20 ათასი კაცით. ამას გარდა სახურავქვეშ შესაძლებელი იქნება მოეწყოს 10 კორტი და კალათბურთისა და ფრენბურთის 20 მოედანი.

ღირსშესანიშნავია მოსკოველი ფეხბურთის გულშემატკივრების მიერ საკუთარი ინიციატივით შექმნილი პროექტი, რომლის ავტორებს სტადიონის სახურავისათვის მიუციათ ორი მოძრავი ნახევარსფეროს ფორმა და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მისი გახსნა. ამ პროექტით ადგილების რაოდენობა სტადიონზე გაიზრდება 115 ათასამდე.

„დინამოს“ სტადიონის გადახურვის საკითხი ძირითადად გადაწყვეტილია. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ჟიურიზე, რომელმაც უნდა შეარჩიოს საუკეთესო პროექტი და მუშაობაც გაჩაღდება.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: მნახველები გამოფენაზე ათვალიერებენ ერთ-ერთ მაკეტს, რომლის ავტორები არიან მ. მელამედი, ა. სუხოვი და ა. ვოლკოვი.

## წრე მუშაობს

ანანურში (დუშეთის რაიონი) ბევრია ჭადრაკის მოყვარული. ეს იმით აიხსნება, რომ ანანურის საშუალო სკოლაში ბეჯითად მუშაობს ჭადრაკის შემსწავლელი წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს მათემატიკის მასწავლებელი პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე თ. ბელთაძე. წრეში, რომელშიც გაერთიანებულია 45 მოსწავლე და მასწავლებელი, სისტემატურად ეწყობა მეცადინეობები და შეჯიბრებები.

ამას წინათ ჩატარდა სკოლის პირველობა მოსწავლეთა შორის, ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ლ. ბიჭიაშვილმა, მეორე ადგილზე გამოვიდა ზ. შაქაროვი, ხოლო მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს ს. როსტიაშვილმა და ტ. ზოტიკიშვილმა.

**ი. ჩიტაური**

# რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებათა 1958 წლის კალენდარული გეგმა

(დასასრული)

რეზს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

7. მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. სოხუმი. 20-24 ივნისი. მონაწილეობენ რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ასს რესპუბლიკათა ნაკრები გუნდები (მონაწილეთა რაოდენობა 100, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

8. მონაწილეობა სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში. მოსკოვი. 6-14 ივლისი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი. (მონაწილეთა რაოდენობა 28, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

9. რაიონებისა და ქალაქების თასი. ადგილებზე. 7-14 სექტემბერი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები (ღონისძიებას ატარებენ ფიზკულტურის შესაბამისი კომიტეტები).

10. მონაწილეობა უძლიერეს მოფარიკავეთა შეხვედრაში. მოსკოვი. 13-16 სექტემბერი. მონაწილეობა სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა განაცხადის მიხედვით (ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

11. საქართველოს სსრ თასი. 19-24 სექტემბერი. მონაწილეობენ რაიონებისა და ქალაქების თასში გამარჯვებულნი (მონაწილეთა რაოდენობა 75, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

12. მონაწილეობა ფინალურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის თასზე. კაუნასი. 22-27 ოქტომბერი. მონაწილეობს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 10, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

13. საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა ხიშტით ბრძოლაში (11 ტური). თბილისი. 21-24 ნოემბერი. მონაწილეობენ უძლიერესნი (მონაწილეთა რაოდენობა 32, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი).

14. სამატჩო შეხვედრა. მოსკოვი-თბილისი-ლენინგრადი-ლვოვი-მინსკი - კიევი - ერევანი-მინსკი. 15-20 დეკემბერი. მონაწილეობს თბილისის ნაკრები გუნდი (მონაწილეთა რაოდენობა 21, ღონისძიებას ატარებს ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი).

# ტურნირი დაძაბულად მიმდინარეობს



საბჭოთა კავშირის 1958 წლის პირველობა ფრენბურთში.

სურათზე: — თბილისელი ვაჟა კაჭარავა ძლიერი დარტყმით ამთავრებს კომბინაციას.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

5 წლის შეყვენების შემდეგ თბილისის მაყურებელმა კვლავ იხილა დიდი ფრენბურთი. მართალია, ამჯერად შეჯიბრებაში ყველა უძლიერესი კოლექტივი არ მონაწილეობს (გუნდების ნაწილი პირველობას ეცილება ერთმანეთს ოდესაში), მაგრამ ის გუნდები, რომლებიც კი გამოდიან თბილისში, თამამად შეიძლება დიდი ფრენბურთის ავტორებად ჩაითვალონ. ეს პირველ რიგში ითქმის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდზე და მოსკოვის „ბურევესტნიკზე".

არმიელთა კოლექტივმა გასულ სეზონში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა ლენინგრადის „სპარტაკის" შემდეგ. იგი წელსაც ალბად ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი იქნება, ყოველ შემთხვევაში პირველი ტურის მატჩები ამის იმედს იძლევა. მოსკოველებმა უკვე მოიგეს ორი შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით — 3:0. პირველ დღეს მათ დაამარცხეს ლენინგრადის თანაკლუბელები, ხოლო მეორე დღეს—სვერდლოვსკის „ბურევესტნიკის" წარმომადგენლები. რა შეიძლება ითქვას არმიელთა თამაშზე? პირველ რიგში ის, რომ გუნდის ლიდერი და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი ფრენბურთელი ფასახოვი ავადმყოფობის შემდეგ ნელნელა შედის სპორტულ ფორმაში. მეორე შეხვედრა მან გაცილებით ძლიერად ჩაატარა, ვიდრე პირველი და იმედია დარჩენილ დღეებში ჩვენი მაყურებელი ნახავს მის ნამდვილ თამაშს. მოსკოველ არმიელებს არა აქვთ გუნდში სუსტი ადგილი. ძლიერი თავდასხმა და ამდენადვე ძლიერი დაცვა, სადაც განსაკუთრებით მაღალი ოსტატობით გამოირჩევა ხ. შჩერბაკოვი, არმიელთა წარმატების მთავარი მიზეზია.

ჯერჯერობით კარგად მიდის ჩემპიონატში მოსკოვის „ბურევესტნიკი". მასაც მოპოვებული აქვს ორი გამარჯვება; მაგრამ ერთი მათგანი—საკმაოდ შეუპოვარი და დაძაბული ბრძოლის შემდეგ. ეს იყო გათამაშების პირველ დღეს, როდესაც მოსკოველები შეხვდნენ თავიანთ სვერდლოვსკელ თანაკლუბელებს. ოთხმა პარტიამ ვერ გამოავლინა უძლიერესი. მეხუთე, გადამწყვეტ პარტიაში მდგომარეობა დიდხანს გაურკვეველი იყო, ვიდრე სვერდლოვსკელ ისმაგილოვს ბრძოლის უნარი ჰქონდა, ურალელებს არაფერი უშავდათ, მაგრამ ბოლოს ჩაქრა მისი ენთუზიაზმი და გუნდმა ზედიზედ რამდენიმე ქულა დაკარგა. ეს საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ მოსკოველებს ბოლოსდაბოლოს გაეტეხათ ჯიუტი მეტოქის წინააღმდეგობა და შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაემთავრებინათ.

შედარებით იოლად მოიგეს „ბურევესტნიკის" ფრენბურთელებმა შეხვედრა მოსკოვის „სპარტაკთან". სპარტაკელები სამივე პარტიაში არაჩვეულებრივად გულგრილად ხვდებოდნენ მოწინააღმდეგეთა გამუდმებულ შეტევებს და სრულებით არ ცდილობდნენ თამაშის გარდატეხას. შედეგიც, რა თქმა უნდა, წინასწარ გადაწყვეტილი იყო. მოსკოვის „სპარტაკმა" ისე წააგო შეხვედრა, რომ ხელიც არ „გაუნძრევია". მაგრამ ამას თავისი მიზეზი, ერთგვარი გამართლება ჰქონდა.

საქმე იმაშია, რომ მოსკოვის „სპარტაკს" წინა დღეს ჰქონდა მეტად დაძაბული ბრძოლა თბილისის „ბურევესტნიკთან". ხუთი პარტიის თამაში თავისთავად დიდ ფიზიკურ დატვირთვას წარმოადგენს და ამას ემატება კიდევ ნერვიული დაძაბულობა, რასაც უმეტესად თანაბარი ძალის გუნდების შეხვედრა იწვევს. სპარტაკელებმა იმდენი ძალა და ენერგია დაკარგეს ამ თამაშში, რომ მეორე დღეს ისინი ბრძოლისუნარიანები არ იყვნენ.

თბილისელებს კარგს არაფერს უქადდა პირველი პარტია. მართალია, იგი „სპარტაკმა" არც თუ ისე დიდი ანგარიშით მოიგო (15:11), მაგრამ თამაში არ გამოდიოდა — გუნდის წევრებს არ ესმოდათ ერთმანეთის. შთაბეჭდილება დარჩა ისეთი, რომ თბილისელები იოლად წააგებდნენ შეხვედრას, მაგრამ უკვე მეორე პარტიაში სურათი შეიცვალა. ახლა უკვე ინიციატივა მასპინძლებმა იგდეს ხელთ და გამარჯვების სასწორი თავის სასარგებლოდ გადახარეს.

მოსკოველები დამარცხების საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. საჭირო იყო ძალების მობილიზება, თამაშის გარდატეხა, თორემ მასპინძლები — მაყურებლების მხურვალე მხარდაჭერით — ბეჯითად მიდიოდნენ გამარჯვებისაკენ და უნდა ითქვას, რომ „სპარტაკმა" შეძლო ინიციატივის ხელში აღება. ამაში ისინი განსაკუთრებით უნდა უმადლოდნენ გუნდის კაპიტანს და ორგანიზატორს, ჩემპიონატის ყველაზე ხანდაზმულ მონაწილეს, ორმოცი წლის ცალცმანს (№ 1), მესამე პარტია მოიგო „სპარტაკმა" 15:6. მაგრამ ეს იყო მისი უკანასკნელი წარმატება. დარჩენილი ორი პარტიის მოგებით თბილისელებმა მეტად საჭირო და საპატიო ქულა მოიპოვეს. ძნელია ეს წარმატება რომელიმე ერთ მოთამაშეს მივაწეროთ. უაღრესად კოლექტიური, თავგანწირული და გააზრებული თამაში — აი თბილისელთა გამარჯვების მიზეზი.

სამწუხაროდ, ჩვენმა გუნდმა მეორე თამაშში ლენინგრადის არმიელებთან დამარცხება განიცადა 4 პარტიაში. რა თქმა უნდა, ლენინგრადის გუნდი არ იყო მოსკოვის „სპარტაკი", იგი გაცილებით ძლიერი და მაღალტექნიკური კოლექტივია, მაგრამ მოწინააღმდეგის ტიტულები არ შეიძლება ნუგეშად მივილოთ. თბილისის გუნდმა წააგო შეხვედრა, რომლის მოგება შეიძლებოდა და ამ დამარცხებიდან მან ზოგიერთი დასკვნა უნდა გამოიტანოს.

ამბობენ თბილისის „ბურევესტნიკი" ახალგაზრდული გუნდიაო, ახალგაზრდებს კი ყველაფერი ეპატიებათ მანამ, სანამ გამოცდილებას შეიძენენო. მაგრამ არც ლენინგრადელები იყვნენ „ბებრები". მოედანზე ძირითადად 20 წლისანი თამაშობდნენ და ალბათ მათ არავინ აპატიებდა წაგებას მხოლოდ იმის გამო, რომ ახალგაზრდები არიან. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ჩემპიონატში მონაწილე თითქმის ყველა გუნდი ძირითადად ახალგაზრდული ბირთვისაგან შედგება და მაშასადამე, ასაკი ოსტატობის საზომად არ მიიღება. ქალთა გუნდება შორის ჯერჯერობით წინ მიდის ლენინგრადის „ბურევესტნიკი". ამ გუნდმა ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგო. მათ შორის ერთი მოსკოვის არმიელთა ძლიერ კოლექტივთან. წინასწარი პროგნოზის გაკეთება ძნელია, მაგრამ თამაშის კლასით ლენინგრადის გუნდი იმდენად მაღლა დგას, დანარჩენ გუნდებზე, რომ თბილისის ჯგუფში ისინი არ წააგებენ შეხვედრას, ყოველ შემთხვევაში არ უნდა წააგონ.

მოსკოვის არმიელთა კოლექტივმა ლენინგრადთან წაგების შემდეგ, დაძაბულ ბრძოლაში ძლია მოსკოვის „სპარტაკს" — 3:2. იყო დრო, როდესაც არმიელები სატურნირო ცხრილში მეორე ნულის ჩაწერის საშიშროების წინაშე იდგნენ, მაგრამ მათ შეძლეს მობილიზება და გადამწყვეტი ინიციატივის ხელში აღება. ამაში არმიელებს დაეხმარა პოპულარული თავდამსხმელი გ. რუმიანცევა. მისი გააზრებული და აგრესიული თამაში გადამწყვეტი გამოდგა ამ შეხვედრაში.

უცნაური გუნდია ბაქოს „ნეფტიანიკი", უფრო სწორად, აზარტული. მაგრამ აზარტში იგი საკმაოდ გვიან შედის. მოსკოვის „სპარტაკთან" შეხვედრაში ბაქოს გუნდმა თითქმის წააგო შეხვედრა, ყოველ შემთხვევაში, წაგებას არაფერი აკლდა, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად შეტრიალდა თამაშის მსვლელობა, „ნეფტიანიკმა" ზედიზედ მოიგო სამი პარტია და მასთან შეხვედრა. ასე, რომ მეორე დღეს, როდესაც ბაქოელებმა მოსკოვის „ბურევესტნიკს" ჩააბარეს პირველი ორი პარტია, ყველამ ... „ნეფტიანიკი" ... ლო ფინიშამდე ... . მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო „ნეფტიანიკმა" თამაში, მოიგო ერთი პარტია. მაგრამ... ფეხი წაიტეხა მეოთხე პარტიაში და გამარჯვებაც „ბურევესტნიკს" დარჩა. ჩვენის აზრით უკეთესი იქნება ბაქოს უდაოდ ძლიერმა კოლექტივმა ენერგიული თამაში დაიწყოს პირველსავე წუთიდან და არა შეხვედრის დაწყებიდან დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ, იგი ასე უფრო მეტ ქულას დააგროვებს.

**ლ. ფალავანდიშვილი,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**ნ. გუგუშვილი.**

# გუნდმა ერთსულოვნად გადაწყვიტა

ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში (მოსკოვი) ამ დღეებში მოეწყო მოსკოვის საზოგადოებრიობის შეხვედრა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდთან.

სსრ კავშირის ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გ. კაჩალინმა დამსწრეთ მოუთხრო გუნდის მზადების შესახებ მსოფლიო პირველობისათვის. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ გუნდში წინ უნდა იქნას წამოწეული ერთსულოვნება, კოლექტიურობა, მეგობრობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა.

—აი, ამიტომ მიიღო გუნდმა ერთსულოვანი გადაწყვეტილება, — თქვა გ. კაჩალინმა, — გარიცხული იქნას ნაკრების შემადგენლობიდან ე. სტრელცოვი, რომელმაც უხეშად დაარღვია საბჭოთა სპორტსმენის ეთიკის ნორმები.

საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი საწვრთნელი ვარჯიშის ჩასატარებლად გაემგზავრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

# ო. რუბცოვა თუ ე. ბიკოვა?

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის გადაწყვეტილებით მოსკოვში დანიშნულია მატჩ-რევანში მსოფლიო ჩემპიონის ოლღა რუბცოვასა და მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის ელისაბედ ბიკოვას შორის. როგორც ცნობილია, 1956 წელს მსოფლიოს ჩემპიონის სახელზე სამთა მატჩ-ტურნირში გაიმარჯვა ო. რუბცოვამ. მაგრამ ე. ბიკოვას დარჩა რევანშის უფლება.

2 თებერვალს მოსკოვში მოეწყო მატჩ-რევანშის საზეიმო გახსნა. მეტოქეები ერთმანეთში გაითამაშებენ 16 პარტიას. მატჩის ყაიმით დამთავრების შემთხვევაში მსოფლიო ჩემპიონის სახელი რჩება ო. რუბცოვას. პირველი პარტია შედგება დღეს, 4 თებერვალს.

საერთაშორისო ოსტატი ო. რუბცოვა 19 წლისა იყო როცა მან 1928 წელს მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი. ეს საპატიო ტიტული მან კიდევ ოთხჯერ დაისაკუთრა. იგი წარმატებით გამოდიოდა საერთაშორისო ტურნირებშიც. მსოფლიო პირველობის ტურნირში მან III ადგილი დაიკავა. ნიჭიერი მოჭადრაკე ქალი 5 შვილის დედაა. სპეციალობით იგი ინჟინერ-მეტალურგია.

საერთაშორისო ოსტატი ე. ბიკოვა 44 წლისაა. იგი საბჭოთა კავშირის და მოსკოვის მრავალგზის ჩემპიონია. ნიჭიერ ოსტატს აქვს დიდი მიღწევები საერთაშორისო ტურნირებშიც. მსოფლიო ჩემპიონის სახელი მან მოიპოვა 1953 წელს ლ. რუდენკოზე გამარჯვებით. იგი პროფესიით ეკონომისტია.



უსიტყვოდ

ნახ. ა. ერაძისა.

# ჩვეულებრივზე ადრე

მიმდინარე წლის სპორტული სეზონი ჩვეულებრივზე ადრე გახსნეს თბილისელმა მესტენდურეებმა. ... რას ცეცხლის ხაზზე გამოვიდნენ საქართველოს „მონკავშირისა" და მონადირეთა საზოგადოების სპორტსმენები, რომლებიც გამარჯვებისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ პირად პირველობაზე.

კარგი სტარტი აიღეს ტ. კობერიძემ („მონკავშირი") და დ. ცოგ... კოვმა (მონადირეთა საზოგადოება), რომლებმაც პირველ სერიაში 22-... სამიზნე დააზიანეს. შემდეგ ცოგ... კოვმა იგივე შედეგი გაიმეორა, ხოლო კობერიძემ ერთით ნაკლები სამიზნე გატეხა. მესამე სერიაში დაწინაურდნენ სპორტის ოსტატები შ. ჩახნაშვილი, ვ. ჯაბახიძე და ... ძიძიგური, რომლებმაც 25 შესაძლებლიდან 23 სამიზნე გატეხეს თვითეულმა. ამ სერიაში მამაკაცებს აჯობა ქალმა ე. მელიქიშვილმა, რომელმაც მხოლოდ ერთ სამიზნეს დააცილა. უკანასკნელ სერიაში ჩახნაშვილმა სუფთად გაიარა ყველა სამიზნე და ადგილიდან სროლაში 100 სამიზნიდან 89 გატეხით მოიპოვა პირველი ადგილი. მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. ჯაბახიძე. მესამეზე — ე. ძიძიგური.

**ჯ. მოწონელიძე.**

# მწვრთნელის შემცვლელი

გაზეთ „ტრიბუნა ლიუდუ" იუწყება, რომ ვენის ფეხბურთელთა კლუბის „ვიენას" მმართველობამ გადაწყვეტილებით პუშკაში გაუშვა გუნდს, დასავლეთ ევროპაში მოგზაურობის დროს. შეცვლის „ვიენას" მწვრთნელს პასერს, რომელმაც ვერ შეძლო გუნდთან ერთად მოგზაურობა.

# თამაშში 500 დოლარი

ესპანეთის ეროვნული ნაკრები გუნდის კაპიტანი, ცნობილი ფეხბურთელი ალფრედ დი სტეფანო, როგორც ცნობილია, ერთ-ერთმა ფრანგულმა ჟურნალმა საუკეთესო ფეხბურთელად აღიარა. დი სტეფანო 4 წლის წინ იყიდა „რეალ-მადრიდმა" 150 ათას დოლარად.

მიუხედავად იმისა, რომ დი სტეფანო დღეს 33 წლისაა. იგი არ ... ბებს თავს ფეხბურთს. დი სტეფანო ყოველ მატჩში იღებს დიდ თანხას — 500 ამერიკულ დოლარს.

# ახალი ვარსკვლავი სპრინტში

მძლეოსნურ სამყაროს შეემატა ერთი ახალი სპრინტერი და ამით მსოფლიოში ყველაზე სწრაფ ადამიანთა სია კიდევ ერთი გვარით გაიზარდა.

ბალტიმორაში ამერიკელმა კენ კავემ 60 იარდზე რბენაში აჩვენა შედეგი 6,1, რაც მსოფლიო რეკორდის გამეორებაა. სპორტის ახალი ვარსკვლავი ამერიკული არმიის ოფიცერია.

**რედაქტორი ი. უგულავა.**

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორის — 3 89 62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25

საქართველოს კპ ც კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 0024